დამტკიცებულია დირექტორის 9.01.2026 წლის N2/02 ბრძანებით

შპს ,,ენ დი აკადემიის“ დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები, მიზნები და ამოცანები

მუხლი 1. დაწესებულების იურიდიული სტატუსი

1. შპს ენ დი აკადემია (შემდგომში – „აკადემია“) კერძო სამართლის იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნდა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, აკადემიის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. აკადემიის სრული სახელწოდებაა: შპს ენ დი აკადემია;
3. აკადემია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და ამ დებულებით;
4. აკადემიას აქვს ბეჭედი შესაბამისი სიმბოლოთი, საიდენტიფიკაციო კოდითა და აკადემიის სახელწოდებით, ბლანკი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. საქმიანობის სფერო

1. აკადემიის საქმიანობა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროს.
2. აკადემია საქმიანობისას ითვალისწინებს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების ან შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობის და სხვა ნიშნით.

მუხლი 3. აკადემიის სტრუქტურა

1. აკადემიის სტრუქტურა შედგება დამფუძნებლისგან, დირექტორისა და საშტატო ნუსხით განსაზღვრული პერსონალისგან.
2. აკადემიის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამშრომლეთა სამუშაო აღწერილობები მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით;
3. აკადემიაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი 4. აკადემიის მიზნები და ამოცანები

1. აკადემიის მიზანს წარმოადგენს:

ა) ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;

ბ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;

გ) დასაქმების ხელშეწყობა;

დ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლის მონაწილეობის ხელშეწყობა;
ვ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
ზ) განსაკუთრებული საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სათანადო ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა;
თ) დასაქმებულთან/პროფესიულ სტუდენტთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) შესაბამისი ხელშეკრულებების დადება და აკადემიის შესაბამისი მარეგულირებელი აქტების გაცნობა.
ი) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი სასაწავლო პროექტების განხორციელება.

თავი II. აკადემიის მართვა

მუხლი 5. მართვის ორგანოები

1. აკადემიის მართვის ორგანოებს განეკუთვნება:
ა) დამფუძნებელი;
ბ) დირექტორი.
2. აკადემიის პერსონალს წარმოადგენენ, საშტატო ნუსხით გაათვალისწინებული პირები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

მუხლი 6. დამფუძნებელი

1. დამფუძნებლის უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. დირექტორი

1. აკადემიას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც წარმართავს აკადემიის საქმიანობას.
2. აკადემიის დირექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიის დებულებით.
3. დირექტორი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წესდების, ამ წესისა და აკადემიის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,
4. უზრუნველყოფს ხელშეკრულებების/მემორანდუმების დადებასა და შესრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
5. დირექტორი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
ა) აკადემიას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) ამტკიცებს აკადემიის ბლანკს, სტრუქტურას, საშტატო ნუსხას, საქმისწარმოების წესს, შინაგანაწესს, აკადემიის დებულებას, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, პროფესიული განათლების დამადასტურებული დოკუმენტის - დიპლომის ფორმას და აკადემიის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებს;
გ) დებს ფინანსურ ან სახის გარიგებებს;
დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის პერსონალს;
ე) დებს შრომით/სასწავლო/მომსახურების და სხვა სახის ხელშეკრულებებს;
ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;
ზ) ანაწილებს მოვალეობებს აკადემიის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, ზედამხედველობას უწევს აკადემიის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
თ) ზედამხედველობს აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს;
ი) ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს;
კ) ეფექტიანად წარმართავს/განკარგავს აკადემიის ადამიანურ/ფინანსურ/მატერიალურ რესურსებს და ხელს უწყობს აღნიშნული რესურსების განვითარებას;
ლ) განიხილავს და ამტკიცებს აკადემიის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

მ) ზრუნავს აკადემიის კონკურენტუნარიანობასა და მის
პოპულარიზაციაზე; ნ) განიხილავს სხვა საკითხებს, დაკავშირებულს
აკადემიის საქმიანობასთან;
ო) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული სერვისების განვითარებას;
პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. აკადემიის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი;
6. აკადემიის დირექტორი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.